საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2023 იანვარი

20.02.2023
www.geostat.ge

20.02.2023

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2023 წლის იანვარი

2023 წლის იანვარში სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 1.0 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით სახეზეა ინდექსის 1.8 პროცენტიანი ზრდა.

2022 წლის დეკემბერთან შედარებით ფასები 1.5 პროცენტით გაიზარდა **სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების** ჯგუფზე, რამაც 0.09 პროცენტული პუნქტით იქონია ზეგავლენა ჯამური ინდექსის ცვლილებაზე. ჯგუფში შემავალი პროდუქტებიდან აღსანიშნავია ფასების ზრდა ლითონის მადნებზე (1.5 პროცენტი). ამავე პერიოდში ფასები გაიზარდა **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის** ჯგუფზე (1.2 პროცენტი), რამაც 0.96 პროცენტული პუნქტი შეიტანა მთლიანი ინდექსის ცვლილებაში. ჯგუფში შემავალი პროდუქტებიდან აღსანიშნავია ფასების მატება ძირითად ქიმიური ნივთიერებებზე და ქიმიურ პროდუქტებზე (12.3 პროცენტი). გარდა ამისა, ფასების 0.3 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა **ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის** ჯგუფზე, რომლის წვლილმაც თვის ჯამური ინდექსის ცვლილებაში 0.03 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

12 თვიან პერიოდში ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ პროდუქტებზე:

• **სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება:** ფასები შემცირებულია 9.8 პროცენტით, რაც მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე -0.76 პროცენტული პუნქტით აისახა. ჯგუფში აღსანიშნავია ფასების კლება ლითონის მადნებზე (-16.8 პროცენტი);

• **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია:** ფასები გაიზარდა 3.2 პროცენტით, რამაც მთლიანი ინდექსის ზრდაზე 2.58 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა. ფასები გაიზარდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: კვების პროდუქტები (9.8 პროცენტი), ტანსაცმელი (24.8 პროცენტი) და სხვა არალითონური მინერალური პროდუქტები (10.7 პროცენტი);

• **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი:** ფასები გაიზარდა 1.6 პროცენტით, რამაც მთლიანი ინდექსის წლიურ ცვლილებაზე 0.13 პროცენტული პუნქტით იქონია გავლენა;

• **წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით:** ფასები შემცირდა 6.0 პროცენტით, რამაც მთლიან ინდექსზე -0.16 პროცენტული პუნქტით იქონია გავლენა.

20.02.2023

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსები (წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) და მის ფორმირებაში მონაწილე ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2023 წლის იანვარი

კოდი	ჯგუფები	2022 წლის დეკემბერთან	წვლილი* თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2022 წლის იანვართან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**101.0**	**1.02**	**101.8**	**1.79**
B	**სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება**	**101.5**	**0.09**	**90.2**	**-0.76**
05	ნახშირი და ლიგნიტი	97.1	0.00	117.3	0.02
06	ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი	99.9	0.00	79.1	-0.03
07	ლითონის მადნები	101.5	0.07	83.2	-1.04
08	სამთო-მოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების სხვა პროდუქტები	102.0	0.02	124.2	0.29
C	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**101.2**	**0.96**	**103.2**	**2.58**
10	კვების პროდუქტები	101.0	0.24	109.8	2.75
11	სასმელები	99.8	-0.03	97.3	-0.50
12	თამბაქოს პროდუქტები	100.0	0.00	100.0	0.00
13	ტექსტილი	102.3	0.01	102.5	0.01
14	ტანსაცმელი	103.1	0.07	124.8	0.46
15	ტყავი და ტყავის ნაწარმი	99.9	0.00	101.4	0.00
16	მერქანი და მერქნის და კორპის ნაწარმი, ავეჯის გარდა; ნაკეთობები ჩალის და წნული მასალებისგან	97.7	-0.02	99.2	-0.01
17	ქაღალდი და ქაღალდის პროდუქტები	98.6	-0.01	108.3	0.07
18	მომსახურება ბეჭდვით და ჩანაწერების აღწარმოებით	92.0	-0.06	99.0	0.00
19	კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტები	98.9	-0.01	83.2	-0.06
20	ძირითადი ქიმიური ნივთიერებები და ქიმიური პროდუქტები	112.3	0.52	91.6	-0.04
21	ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტები და ფარმაცევტული პრეპარატები	98.2	-0.03	83.7	-0.29
22	რეზინის და პლასტმასის პროდუქტები	97.6	-0.06	98.1	-0.04

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.02.2023

კოდი	ჯგუფები	2022 წლის დეკემბერთან	წვლილი* თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2022 წლის იანვართან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
23	სხვა არალითონური მინერალური პროდუქტები	100.3	0.02	110.7	0.94
24	ძირითადი ლითონები	102.5	0.29	88.6	-0.79
25	ლითონის მზა ნაწარმი, მანქანების და მოწყობილობების გარდა	97.2	-0.07	98.1	-0.05
27	ელექტრომოწყობილობები	98.5	-0.01	121.9	0.14
28	მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	99.7	0.00	85.6	-0.01
30	სხვა სატრანსპორტო მოწყობილობები	101.8	0.00	101.8	0.00
31	ავეჯი	108.2	0.09	110.3	0.11
32	სხვა სამრეწველო საქონელი	99.9	0.00	84.0	-0.04
33	მომსახურება მანქანების და მოწყობილობების რემონტით და მონტაჟით	100.0	0.00	90.9	-0.06
D	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი**	**100.3**	**0.03**	**101.6**	**0.13**
35	ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი	100.3	0.03	101.6	0.13
E	**წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით**	**97.9**	**-0.06**	**94.0**	**-0.16**
36	ბუნებრივი წყალი, მომსახურება წყლის გაწმენდით და მომარაგებით	100.0	0.00	100.0	0.00
38	მომსახურება ნარჩენების შეგროვებით, დამუშავებით და მოცილებით; მომსახურება მასალების უტილიზაციით	94.5	-0.06	83.4	-0.16

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.02.2023

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(წინა თვე = 100)



სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე =100)



20.02.2023

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge